ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შსახებ # 38

ქ. ბათუმი 10 ოქტომბერი 2018 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების (თავი II 10 მუხლის 3ა პუნქტის) შესაბამისად.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ბათუმის №30 საჯარო სკოლა, დირექტორის ცისანა ბარამიძის სახით –შემდგომში “დამკვეთი” და მეორეს მხრივ, შპს “CSC Batumi” ს/კ 448386425შემდგომში „მიმწოდებელი“, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა შემსყიდველს სსიპ ბათუმის №30 საჯარო სკოლას მიაწოდოს ელ. საკანცელარიო საქონელი შემდგომში “საქონელი”. ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი “საქონელი” და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 260.0ლარს. /ორას სამოცი ლარი./ 30100000-260.0 ლარი,

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების \საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები,

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

5.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების
შეუსრულებლობის გამო

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზრაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

10. შეტყობინება

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 10 ოქტომბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

12. გადასახადები და ბაჟები

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად,

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მომწოდებელი"
	შპს „CSC Batumi"
ბათუმი, სვ. კანანელის ქ. #1	ს/კ 448386425
სსიპ ბათუმის №30 საჯარო სკოლა	მის: ბათუმი ზ. გორგილაძის ქ. #86
ანგარიშის	სს თიბისი ბანკი
№ GE25LB0121114058211000	ბანკის კოდი TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 248386624	aa GE52TB7563236080100001
მიმღები ბანკი: ლიბერთი ბანკი	
ხელვაჩაურის ფილიალი	დირექტორი
ბანკის კოდი: LBRTGE22	

მიღება-ჩაბარების აქტი

მიღებული საქონელი 10 ოქტომბერი 2018 წელი

#	საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთლიანი თანხა	
1.	კატრიჯი	ცალი	3	40	120.0	
	სულ:				120.0	

ას ოცი ლარი

ჩააბარა-----

მიიღო-----

მიღება-ჩაბარების აქტი

მიღებული საქონელი 18 დეკემბერი 2018 წელი

#	საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთლიანი თანხა	
1.	კატრიჯი 278	ცალი	2	40	80.0	
2.	Ink Black (100გრ)	ცალი	1	15	15.0	
3.	EPSON photo ink cyan-ლურჯი	გრამი	100	0,15	15.0	
4.	EPSON photo ink magentra-წითელი	გრამი	100	0,15	15.0	
5.	EPSON photo yellow-ყვითლი	გრამი	100	0,15	15.0	
	სულ:				140.0	

ას ორმოცი ლარი

ჩააბარა----------

მიიღო----------

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

10 ოქტომბერი 2018 წელი

ვადასტურებთ, რომ ვმონაწილეობდი გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე **მომწოდებლის შერჩევაში, რომლის საფუძველზეც შერჩეულ მომოწდებელთან შპს „csc Batumi" ს/კ 448386425 გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 38 ხელშეკრულება.**

ხელწერილით ვადასტურებ, რომ აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში მომოწდებლის შერჩევაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი:

ც.ბარამიძე----------